ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03-05/116

ქ. ბათუმი 23 დეკემბერი 2016წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სსიპ ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლა (შემდგომში ,,დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის იანა ჩადუნელის სახით ერთის მხრივ და ფიზიკური პირი ზურაბ წულაძის 61002019345) (შემდგომში ,,შემსრულებლები") მეორეს მხრივ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,შემსრულებლები: თანახმაა ,,დამკვეთს" გაუწიოს მომსახურება, კერძოდ: საკლასო ოთახებში ნათურების დამონტაჟება. CPV: 98300000.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება შეადგენს 62.50 (სამოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარს.
2. მომსახურების გაწევა დასტურდება ,,შემსრულებლების" მიერ ,,დამკვეთისათვის" წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
3. ,,დამკვეთი" ,,შემსრულებლებს" ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ,,შემსრულებლების" მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები ,,შემსრულებლებს" და მათი მოთხოვნების საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო მასალა და საქონელი;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2 დამკვეთი უფლებამოსილია:

2.1. მოითხოვოს ,,შემსრულებლებისაგან" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

3. „შემსრულებლები“ ვალდებულია:

3.1. დაიცვან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

4. „შემსრულებლები“ უფლებამოსილია:

4.1. მოითხოვონ დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი: ს.ს.ი.პ. ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლა ტელ: 577 30 43 13 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბათუმის ფილიალი ს/კ 245428979 ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE95LB0121126263582000 **დირექტორის** **იანა ჩადუნელი** (ხელმოწერა)	**შემსრულებლები:** ფიზიკური პირი ზურაბ წულაძე პ/ნ 61002019345 სს „თი ბი სი ბანკი" GE61TB7796045063600027 ბანკის კოდი: TBCBGE22 (ხელმოწერა)

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი 24 დეკემბერი 2016 წ

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია მასზედ, რომ „მიმწოდებელმა" შემსრულებელმა ფიზ. პირმა ზურაბ წულაძემ ჩააბარა და „დამკვეთმა" სსიპ ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლის მ/ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორმა ანზორ მარგველაშვილმა " მიიღო 2016 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული N03–05/116 ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მომსახურება (საკლასო ოთახებში ნათურების დამონტაჟება).

„დამკვეთმა" მიიღო: /ა. მარგველაშვილი/

„შემსრულებელმა" ჩააბარა: / ზ. წულაძე/